



ერეკლე თავბერიძე ევროპის ჩემპიონია



ალბანეთის ქ. ტირანაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში U-17 წლამდელთა ასაკის მოჭიდავეთა შორის, სადაც 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების ღირსებას ოზურგეთელი **ერეკლე თავბერიძე** იცავდა. 13 ივნისს, ფინალურ ორთაბრძოლაში იგი მსოფლიო ჩემპიონს, მოლდაველ მაქსიმ სარმანოვს შეხვდა და დაამარცხა იგი. ვულოცავთ ერეკლე თავბერიძეს ამ დიდ გამარჯვებას!



კ ა ვ კ ა ს ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვრიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოსვლა. № 14 (10450) 15 ივნისი, 2023 წ. ღირსი 80 თეთრი.

გურიის რეგიონში 50 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზე



გურიის რეგიონში 50 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა. სამუშაოების მიმდინარეობას, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ხორციელდება, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **დავით გეწაძე** გაეცნენ.

„გურიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ექვს სხვადასხვა ლოტზე მიმდინარეობს საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჯამში მოეწეობა დაახლოებით 50 კილომეტრი ასფალტის საფარი. პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურა და მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ უსაფრთხო და კომფორტული გზებით“, - აღნიშნა გიორგი ურუშაძემ.

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია უტარდება საჯავახო-ჩონატაური-ოზურგეთის, ჩონატაური-ბახმაროს, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის, ჩონატაური-ზომ-ლეითის და ნასაკირალის საავტომობილო გზების მონაკვეთებს.

მდინარე ბჟუჟის ხეობაში საპარაულდო ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ საზოგადოება ინფორმაციულ პაკეტირება



5 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გოვში კოვანია „ენერჯი“-ს წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობას შეხვედნენ. შეხვედრის თემა „ბჟუჟის ხეობის მშენებლობის სიმძლავრის „გოვის ხეობის“ მშენებლობა იყო. აღნიშნულს არამრთველობად შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ალიონი. სოფელ გოვში, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოსთან“ ერთად ვიმყოფებოდით. ჩვენი პირველი გაკვირება იმან გამოიწვია, რომ არ ვფიქრობდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ბჟუჟის ხეობის“ ექვსი ექვსი „ეკოსთან“ მიღამობიდან ტყეში გზა უკვე შეჭყავთ და როგორც გვითხრეს რამდენიმე კილომეტრი გზა უნდა გაიფანჯროს, რომ მდინარე ბჟუჟისა და მის შესაყვას სავარაუდოდ 2 მეგავატამდე

შაომბი არ დაუფიქრიათ, რაღაბან ჯამ-ჯამობით მოსახლეობასთან შთიან-სამბას ვერ მიადვივს.

მისი თქმით წყალი 950 მეტრი მიღით სადაწნო მიღის გათლის, რისთვისაც ისინი წყლის რესურსის 15 პროცენტს გამოიყენებენ წყალუხვობისას, ხოლო წყლის ნაკლებობისას 30 პროცენტს. დაიცვენ სტანდარტებს, ექნებათ სპეციალური თევზსავალი და ა.შ.

კითხვაზე, რა საზრუნავი სოფელს? ნიკა ჩაჩხინამ უპასუხა, რომ 20 000 ლარი ყოველწლიურად ადგილობრივი თემის ბიუჯეტში (?) ჩარიცხვება, სოლო 100 ათასი

ლარი მშენებლობის აპრო-ოლში სოციალური პროგრამებისთვის გამოიყოს, ტურისტების მისაღებად მოაწყობენ ექვს „ვაშლების“ ტერიტორიას. მშენებლობის პროცესში ადგილობრივები დასაქმდებიან, ხოლო შემდგომ გადაამზადებენ კადრებს ჰესზე სამუშაოდ - განაცხადა მან.

„ისე დაეხმარებით სოფელს, როგორც ბუნებრივი აკეთებს - ირრითი უონხრა ჩაჩხინას ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

მუხედავდ სოფლის თავაკების თხოვნისა, მოესმინათ ჩაჩხინასთვის, შეხვედრა დაბრის-პირებაში გადაიზარდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმბათი აციონზე
«ალიონი»

ხელშეკრულება გაავაზრობით - ოზურგეთის ახალი, თანამედროვე ავტობუსები ექნება



ოზურგეთის მალე ახალი, თანამედროვე ავტობუსები ექნება! „სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით ვიწყებთ რეფორმის გატარებას და პირველ ეტაპზე შევისყიდით 8 ერთეულ ISUZU-ს მართვის ავტობუსს. ასევე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაიგეგმება მარშრუტები და მოეწყობა გაჩერებები. შემდეგი წლიდან, მგ ზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეებისთვის კომფორტული და უსაფრთხო იქნება“ -აცხადებს ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი ახალ საპროექტო სეზონს მოემზადებული ხვდება



გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ დამატებით 3 ტრაქტორი თვითმცლელი და 1 თვითმცლელი მანქანა შეიძინა. ახალი სპეციალური ტექნიკის გადაცემის პროცესს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი გიორგი შუხოშვილი, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. მუნიციპალიტეტების სპეციალური ტექნიკით აღჭურვა ხელს შეუწყობს შავი ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავებისა და მოწესრიგების სამუშაოების გაუმჯობესებას და დამსვენებლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას.

შპს „სამართველო ემლიორაცია“ რიონის სანაპიროს დაფორმებას მასივს აწესრიგებს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბალურის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასივან 3 კილომეტრამდე სიგრძის სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორული და შეპყრები არხი იწმინდება. გაიზრდება; შედეგად, 55 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება. დამშრობ მასივზე სამუშაოები ივნისის ბოლოს დასრულდება.

შეხვედრები მოსახლეობის ჯგუფებთან

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვედრები გაიმართა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან. პროექტი, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ითვალისწინებს მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამების ანალიზს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის ინდიკატორების გამოყენებით. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, საპელო ბაღის აღმზრდელი, სკოლის პედაგოგები, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები და ახალგაზრდები. USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს II მუნიციპალიტეტში. პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.



მეხანძრე-მაშველებს პროფესიული დღე მიულოცეს

ჩონატაურის მერი დავით შარაშიძე საგანგებო-სიტუაციების მართვის სამსახურს ეწვია და მეხანძრე-მაშველებს პროფესიული დღე მიულოცა. „ყველა მეხანძრე-მაშველს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თითოეულ თანამშრომელს ვულოცავ პროფესიულ დღეს. თქვენ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ვიწვეთ, იდგეთ ქვეყნისა და მოქალაქეების სამსახურში. მადლობა ფასდაუდებელი შრომისა და საქმის მიმართ ერთგულებისთვის. ვაძმრთველობასა და კეთილდღეობას გისურვებთ“ - ჩონატაურის მერი დავით შარაშიძე.



სკრინინგ ცენტრი სოფელ უხუთში



სკრინინგის პროგრამების ეფექტურობის გაზრდის საერთაშორისო პროექტის (Horizon 2020) სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე რეზა დგამიანა ევროპის 12 ქვეყნის წამყვან ექსპერტებთან ერთად ლანჩხუთში იმყოფებოდა. სტუმრები ლანჩხუთის მერს ალექსანდრე სარიშვილს შეხვდნენ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრი აშენდა. სტუმრებმა ადგილზე დაათვალიერეს სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სოფელ უხუთში მდებარეობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ცენტრის აშენება ლანჩხუთში. სკრინინგ ცენტრი უახლოეს პერიოდში დაიწყებს ფუნქციონირებას. პაციენტებს ადგილზე შეეძლებათ სათანადო კვლევებისა და კონსულტაციების ჩატარება. მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ მხარდაჭერისთვის აღნიშნა ლანჩხუთის მერმა. შეხვედრას მერის მოადგილე ვატიანე გუჯაბიძე და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე ესწრებოდნენ.

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში სამოქმედო გეგმის მდგრადი მართვის პროექტული პოლიტიკის კონცეფცია განისხილეს



სადოქრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია გურიის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციაში განისხილეს.

კონცეფციის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს სადოქრებით მდგრადი სარგებლობისა და მათი დაცვის ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბებას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ქართული და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა.

კონცეფციის დოკუმენტის ძირითადი მიმართულებები მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ **გიორგი მიშელაძემ**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტროს და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) წარმომადგენლებმა, გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილესთან, **ქეთევან მოისწრაფიშვილთან** და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოსა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სადოქრები (დაცული ტერიტორიებისა და ტყის მიწების ჩათვლით) სარგებლობისთვის ხელმისაწვდომი იქნება საერთო სარგებლობის რეჟიმით, ასევე იჯარით. სადოქრების

მართვის მუნიციპალური გეგმების მიხედვით მოხდება სადოქრების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, ზონირება და სარგებლობის რეჟიმების დადგენა. სადოქრების საერთო სარგებლობის სისტემა დაინერგება სასოფლო-დასახლების ახლომდებარე სადოქრებზე. შეიქმნება მოსარგებლეთა გაერთიანებები და მათ სარგებლობაში გადაეცემათ სოფლის სადოქრები. დანარჩენი სადოქრების გამოყენება შესაძლებელი იქნება იჯარით.

მნიშვნელოვანია, რომ სოფლის სადოქრის, ზამთრისა და ზაფხულის სადოქრის სტატუსების კანონით განსაზღვრა მოხდება. პოლიტიკის დოკუმენტი საფუძვლად დაედება სადოქრების მართვის საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას.

„სადოქრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული სადოქრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროექტის მხარდამჭერია გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

გურიაში აშენდება 17 და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 8 საბავშვო ბაღს

გურიაში

- 2023 წელს 17 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება
- რეაბილიტაცია ჩაუტარდება 8 ბაღს



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გურიის რეგიონში მიმდინარე წელს 17 ახალი სკოლა-ბაღი დაიწყება და დაიწყება 14 საბავშვო ბაღზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, ხოლო დარჩენილ 3 პროექტზე პრეტენდენტი მოწვეულია ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2023 წელს დაიწყება შემდეგი ბაღების მშენებლობა:

- ქოზურგეთის 8 საბავშვო ბაღი;
- სოფელ მერიის საბავშვო ბაღი;
- სოფელ გურიანთის საბავშვო ბაღი;
- სოფელ მთისპირის საბავშვო ბაღი;
- სოფელ შრომის (ხრიალეთის) საბავშვო ბაღი;
- სოფელ ძიმითის საბავშვო ბაღი;
- სოფელ ბოხვაურის საბავშვო ბაღი;
- სოფელ მაკვანეთის საბავშვო ბაღი;
- სოფელ ღრმადელეს საბავშვო ბაღი;
- სოფელ გულანის საბავშვო ბაღი;
- სოფელ ნივგზიანის საბავშვო ბაღი;
- სოფელ აკეთის (გაგური) საბავშვო ბაღი;

სოფელ ნინოშვილის საბავშვო ბაღი;

სოფელ შუაბაღლების საბავშვო ბაღი;

სოფელ ზომლეთის საბავშვო ბაღი;

სოფელ გუთურის საბავშვო ბაღი;

სოფელ ვოვლეკსუნის საბავშვო ბაღი.

ასევე, მიგინარე ფელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 8 საბავშვო ბაღს:

- ქოზურგეთის 3 ბავშვბაღი;
- სოფელ ქვემო ნატანების საბავშვო ბაღი.
- ხოსატაურის მუნიციპალიტეტის 1 საბავშვო ბაღი 1 ბავშვბაღი.
- სოფელ ჩიბათის საბავშვო ბაღი;
- სოფელ ენერის საბავშვო ბაღი;
- სოფელ შრომის საბავშვო ბაღი;
- სოფელ ჯუჯუყეთის საბავშვო ბაღი.

საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. ბაღები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

მდინარე ბჟუჟის ხეობაში სავარაუდო ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმშია



—არ გვიწავს ხეობაში ახალი ჰესი, მართალია სუფთა ბარაქო შემოგვრჩა და ისიც უნდა გავინახოთ. მდინარე ბჟუჟის ხეობაში წყლის რესურსები უნდა გამოვიყენოთ. მდინარე ბჟუჟის ხეობაში წყლის რესურსები უნდა გამოვიყენოთ. მდინარე ბჟუჟის ხეობაში წყლის რესურსები უნდა გამოვიყენოთ.

—პაპა მამო, ჰესი რომ აშენდება და დასაქმდები, მესამე რატომ არ უნდა აშენდეს — პასუხობდა მეორე ჯგუფი.

— თუ როგორ მოხერხდება მშენებლობა, ამაზე ეს შესვენება მეტყველებს. დასაპირისპირებით სოფელი მართალია — მამრთა ჩანხანის ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

„ენერჯის“ გომელებისაგან ჰესის მშენებლობის დასაწყისში გარკვეული პასუხი არ მიუღია.

სწორედ გომელების თხოვნით დაინტერესდით, თუ რა ხდება ბჟუჟის ხეობაში, მდინარის ხეობაში და 13 ივნისს, ჟურნალისტების ჯგუფი გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ და მუხრანბეგთან ირმა გორდელაძესთან ერთად გავეგზავნეთ. ბჟუჟის-

გომისხეობის გზის მშენებლობა გრძელდება. ჯგუფის წევართან სამშენებლო კომპანიის დროებითი საცხოვრებელი მოწყობილი. აღნიშნული ადგილიდან, მარჯვნივ, ზემოთ, ჰესის ხელს, რომ იტყვიან მთა გაუჭრათ და მდინარე ბჟუჟის ხეობისკენ გზა გაჭყვთ. ცუდმა ამინდმა არ მოგვცა საშუალება, გვეჩვენა, თუ რა ხდება ახლადგაყვანილი გზის ყველა პერიმეტრზე, მაგრამ გარკვეული აზრი ჩამოვიყვანეთ.

გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური გვერდზე არის ინფორმაცია, რომ: **ოჯუჟის მუნიციპალიტეტში, 2018 წლის 20 თებერვალს, 14.00 საათზე ჩატარებულა შპს „GIFC“-ის „ბჟუჟა 2“ ჰესის მშენებლობის და მსპალუბრაციის პროექტის გარემოზე გავლენის შეფასებაზე განხილვა(?)** აღნიშნული განხილვის შესახებ ინფორმაციას არ ვლკობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში, მშენებლისა და რაც მთავარია სოფელ გომის მოსახლეობა.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამუხრანბეგის, **ირმა გორდელაძის** მოპოვებული ინფორმაციით, „ბჟუჟა 2“ ჰესი განთავსდება ოჯუჟის მდინარის რაიონში მდ. ბჟუჟის,

რომელიც წარმოადგენს მდ. ნატანის მარცხენა შენაკადს. სათავე ნაგებობა განთავსდება 14 კმ-ის დაშორებით ოჯუჟის მდინარის ნაპირთან, არსებული ბჟუჟა ჰესის ძველი ბიფრის მასობრივად, რომლის გასწვრივ ნიშნულია 400.0 მ. **განმარტებული კომპანია შპს „სამართლებლო სამართლის მენეჯმენტი პროგრამის“ სავარაუდოდ „ბჟუჟა ჰესი“ და „ბჟუჟა 2“ ჰესის ამ მართ და იგივე კომპანიის მკვლევარს. გარდა იმისა რომ უამრავი უზუსტობა, უპარბისი კვლევა ან პირდაპირ გადმოქმედება კვლევიდან, გზა დოკუმენტში სწორად გვევლება სიტყვა — რაიონი, სოფელი კვლევი გეოლოგიური, ჰიდროლოგიური საბჭოური კვლევიდანაა გადმოქმედებული, ასევე დარღვეულია საჯარო შესვენების განმარტება. არც ერთ ადგილზე არც მკვლევარს, სოფელ გომიდან არც კი სმენია ამ შესვენების შესახებ.**

გზა მშენებელი შპს. „აი-მს-ჯი“ კომპანიაა, რომლის კომპანიაში თავს ვერ დავაგებთ. ამგვარად, მშენებელი შპს არ ვხვდებით და განხილვა იმართება, ეკოლოგიური ფაქტის სარკი სტანდარტული 10% ია და ჰესი სემისურად საშიშ, 8 ბაღიან ზონაში რომ იგება და ა. შ. ჯერ-ჯერობით შურნალი-სტამი „ეკოსთან“ მართად ვსაუბრობთ ამ საკითხებს და საზოგადოებას შესაბამის ინფორმაციას მივაწვდით.

ამჟამად ოფიციალური წერილით მიმართეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოგაწოდოს საჯარო ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ.

შესვენდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან



12 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოფისში, ადგილობრივი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა გურიის რეგიონში **ირაკლი პაპაძემ** საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებსა და პროექტებზე ისაუბრა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა **დავით ბუჯიაშვილმა**, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთ-

ობის დინამიკაზე, ამ პროცესში არსებულ მიწვევებზე, გამოწვევებსა და მოლოდინებზე ისაუბრა.

შემხვედრაზე ინფორმაცია მიიღეს, თუ რას ნიშნავს საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის გაკეთება და ევროპული პერსპექტივა, რა პროცედურებს გადის, ზოგადად, ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანებად და დღეს რა ეტაპზეა საქართველო. შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზოგადოების ინფორმირებულობისა და მედიების გაზრდა“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა პრეზენტა საბჭოს უმჯობესად



2023 წლის 7 ივნისს, ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა. მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის პირველი ნაწილი საბჭოს ხასიათს ატარებდა, რომლის მსვლელობის დროს საბჭოს წევრებმა მოისმინეს ბახვი 2 ჰესთან დაკავშირებული სახელგუბი.

კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით კობერიძემ მრჩეველთა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი გავლენების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, ისაუბრა სამშენებლო პერიოდში განხორციელებული წინასამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე, რაც ძირითადად, მშენებლობის განხორციელების არეალში, გზის გაწმენდით სამუშაოებს მოიცავდა.

კავკასიის განხლებადი ენერჯის ჰოლდინგის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ხელმძღვანელმა, ნანა ბერძენიშვილმა ისაუბრა ტყის განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. პრევენტივის ფარგლებში აქცენტები გაკეთდა გეგმის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. გეგმის მიხედვით, განაშენიანება მოხდება ერთი ორზე პრინციპით, რაც შემარბილებელი ღონისძიებების კუთხით, საერთაშორისო სტანდარტების საუკეთესო პრაქტიკას ითვალისწინებს.

კომპანია ბახვი ჰესის კომუნიკაციების მენეჯერმა, ნიკა ჩილოყაშვილმა მრჩეველთა საბჭოს ჩართულობის გეგმის მიმდინარეობა შეაფასა, რომლის ფარგლებშიც

მრჩეველთა საბჭოს წევრების დახმარებით ხორციელდება კომპანიის სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტები. კერძოდ, დღემდე არის დღეობის დაკავშირებით საბჭოს წევრის **ლელა მდინარაძის** კურატორობით ჩატარდა კონკურსი ჩსაკურას და მთისპირის თემის სოფლების საჯარო სკოლებში; 1 ივნისს, ბაუმთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საბჭოს წევრმა და მეწარმემ, **დავით თეთრეშვილმა** ჩატარა უფროსკლასელთათვის ლექცია თემაზე, როგორ დავიწყოთ სტარტაპი რეგიონში. საბჭოს წევრმა **ია ურუშაძემ** კი, იმუშავა ტურზე იმ სამოსახლოებში, რომელიც ჩართული არიან ბახვი ჰესისა და **USAID** - ის ერთობლივ პროექტში, რომელიც ჩაის გზის ასოციაციის ქოლგის ქვეშ სტუმარ-მასპინძლობის სექტორის გაძლიერებას უწყობს ხელს გურიაში.

საბჭოს სხდომის ფარგლებში, იმვე დღეს, საბჭოს წევრებმა და კომპანიის მენეჯერებმა ასოციაცია ჩაის გზის პროგრამის მონაწილე სამოსახლოებ დათვალა იურეს და უმუშალო მონაწილე პირებისგან მოისმინეს, თუ რა გავლენა იქონია მათ ბიზნესზე იმ ტრენინგებმა თუ მარკეტინგულმა საქმიანობამ, რაც პროგრამის ფარგლებში მიიღეს. გურიაში მცირე ბიზნესის დახმარების და სტუმარ-მასპინძლობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით შექმნილი პროგრამა განხორციელდა კომპანია ბახვი ჰესისა და **USAID** - ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერითა და უმუშალო ჩართულობით.

დაფინანსებული ფართი

ბახვი 2 ჰესი და რეგიონში ბაზრადილი ხელმისაწვდომობა ხარისხიან ელექტროენერჯიანობაზე



ბახვი 2 ჰესი მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის სადგურისგან (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) შედგება. 2ა სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე დაგეგმილია ძალიან მცირე ზომის 0.09 ჰექტარი შეფუბვა; ხოლო ბახვი 2ბ-ს შემთხვევაში - 0.04 ჰექტარი.

ბახვი 1 და 2 ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიწოდება ცენტრალურ ქსელს. თუმცა, ცენტრალური სისტემიდან ელექტროენერჯის მიწოდების მოულოდნელი შეწყვეტის შემთხვევაში ტექნიკური თვალსაზრისით, რეგიონში არსებული ჰიდროელექტროსადგურები უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ფიზიკური მიწოდების უწყვეტობას, რადგან ერთი მიწოდების წყაროდან მეორეზე გადართვა ავტომატურ რეჟიმში მოხდება. გარდა

ამისა, აღნიშნული მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს რეგიონისათვის ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხს, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია რეგიონის არათანაბარი დატვირთვისა და მიწოდების არაპროპორციულობით და ხშირად ხდება ძაბვისა და სიხშირის ვარდნის მიზეზი. აქვე უნდა ითქვას, რომ უწყვეტი და ხარისხიანი ელექტროენერჯით მომარაგება თავის მხრივ, დამატებით შესაძლებლობებს შექმნის რეგიონში ახალი მოხმარების ობიექტების მიერთებისათვის ან/და წარმოების განვითარებისათვის. ზოგადად, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, გენერაციის ობიექტების დეცენტრალიზებული და რეგიონალური განვითარება, ქვეყნის წარმატებული განვითარების საწინდარია, ვინაიდან ზრდის ხელმისაწვდომობას ხარისხიან ელექტროენერჯიანობაზე, რითაც აძლიერებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

ბახვი 2 ჰესის საპროექტო ტერიტორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია მოქცეული და მთისპირის თემს მოიცავს.

დაფინანსებული ფართი

თეიმურაზ (თეზიკო) ქილიფთარის ბახსენება



თეიმურაზ მაკარის ძე ქილიფთარი დაიბადა 1933 წლის 10 დეკემბერს. საშუალო განათლება 1941-1952 წლებში მიიღო ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლაში.

1953 წელს მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში –სტრანსპორტო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და 1958 წელს, მშობლიურ რაიონში დაბრუნდა და შრომითი საქმიანობა დაიწყო.

თეიმურაზ ქილიფთარი მე მასხოვს როგორც მძღოლი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტზე მუშაობდა, იყო ტაქსის მძღოლი.

თეიმურაზმა 1965 წელს მუშაობა დაიწყო ოზურგეთის საკონსერვო ქარხანაში ინჟინერ-შეკნიკოსად. ორი წლის შემდეგ კი ფაფურის ქარხნის დირექტორად დანიშნეს. სწორედ ამ პერიოდში თეზიკოსთან მომიწია თანამშრომლობა. მან მიხვდა, ფაფურის ქარხანაში შემექმნა მომღერალთა გუნდი. მალე გუნდი ჩამოყვავდა იმ ქარხნის თანამშრომლებისაგან და შეიძლება ითქვას, შედეგად გვექონდა. გუნდი წარმატებით გამოვიდა რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

თეიმურაზ ქილიფთარი გამოირჩეოდა თავისი პროფესიონალიზმით, საქმის კარგი ცოდნით, ამიტომაც მას საბასუხისმგებლო თანამდებობებს ანდობდნენ.

ჩვენ რაიონში მდაროთა სამმართველო ყველაზე დიდ და გავლენიან წარმოებად ითვლებოდა. 1972 წელს, სწორედ აღნიშნული სამმართველოს დირექტორად დანიშნეს იგი, სადაც დიდ ხანს იმუშავა.. მისი მუშაობის

პერიოდში ქ. ოზურგეთში აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, სხვა ობიექტები.

ამ საბასუხისმგებლო სამუშაოებს თეზიკო კარგად უთავსებდა სიმღერის სიყვარულს. იგი იყო ანსამბლ „შვიდკაცას“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრი. როცა მე ამ ანსამბლში მივედი, თეზიკო ანსამბლის წევრი იყო – ბატონმა მიხეილ შავიშვილმა ადრე მიიწვია თეიმურაზი მასთან.

მინდა ერთი ბრწყინვალე მოგონება გავაცოცხლო „შვიდკაცას“ ცხოვრებად.

1970 წელს ანსამბლი „შვიდკაცა“ საგასტროლოდ იტალიაში მიიწვიეს. კონცერტებთან ერთად რომის ღირსმართლმადიდებლურ კათალიკურ ეკლესიაშიც მივიღეთ. ერთ დღეს გვითხრეს: „ხვალ, კვირას ვატიკანში მივლივარ, უნდა დავესწროთ პაპის ქადაგებასო.“

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წავედით, წმინდა პეტრეს მოედანზე უამრავი ადამიანი იდგა და ელოდნენ პაპის გადმოდგომას სპეციალურად მისთვის შერჩეულ ფანჯარაში. დღის 12 საათისთვის იყო დაგეგმილი პაპის გამოსვლა დათქმული დროისთვის ფანჯარაზე გადმოვიდეს სპეციალური საეკლესიო ხალიჩა და გამოჩნდა თეორ სამოსში ჩაცმული რომის პაპი პავლე VI. მოედანზე შეკრებილმა ათასობით მორწმუნემ თუ ტურისტმა, ყველამ დაიჩოქა. ჩვენ ვერ ვხვდებოდით რაზე ქადაგებდა პაპი, მაგრამ შესანიშნავი რიტუალი კი იყო.

უცბე თეზიკო ქილიფთარმა „შენ

სარ ვენახი“ წამოიწყო. ჩვენც შევაშველეთ ჩვენი ხმები და აუგუზდა მოედანი. ყველა ჩვენსკენ შემობრუნდა ატყდა ტაშის გრაალი და ოვაციები. როცა საგალობელი ჩავათავეთ, შემოგვეხვივნენ და გვეკითხებოდნენ: –საიდან ვიყავით, ან რა მოისმინეს. რაც შეგვეძლო ავუხსენით და დიდი სიყვარულით დაგვმორდით ამ უზარმაზარ საზოგადოებას. 53 წლის შემდეგ დღესაც თვალწინ მდგას საუკეთესო ისტორიული დღე „შვიდკაცას“ შემოქმედებდნენ.

ძალიან დიდ დროს და ენერჯიას მოითხოვდა მდაროთა სამმართველოს მართვა და ვეღარ ახერხებდა თეზიკო ანსამბლის ღონისძიებებში მონაწილეობას, ამიტომ იგი წავიდა ანსამბლიდან.

თეზიკომ ქალბატონ ვენერა ვადაჭკორიასთან ერთად შესანიშნავი ქართული ოჯახი. სამი შვილი გაზარდეს. უკლიკო, ირმა, მამუკა ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

სიცოცხლის ბოლომდე ოჯახთან ერთად ერთგული იყო მეგობრების და იმ დიდი საქმის, რომელსაც იგი უძღვებოდა.

თეიმურაზ ქილიფთარი 2013 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა.

ჩვენი ვაღია, მოვიგონოთ ჩვენი ანსამბლის წევრები – ჩვენი უფროსი მეგობრები, ჩვენი ოზურგეთის ღირსეული პიროვნებები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ტრისტან სიხარულიძე, ხელოვნების ქურუმი

ბახვი 2 ჰესი და რეგიონში ბაზრადილი ხელმისაწვდომობა ხარისხიან ელექტროენერჯიანობაზე



კომპანია ბახვი ჰესის მენეჯმენტმა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩასატარებლად მსოფლიოში აღიარებული კომპანიის **SLR** -ის ბრიტანეთის მთავარი მკვლევარი, **ნიკოლა ფოლკსი** მიიწვია. კვლევის შედეგებთან ერთად, მან შეიმუშავა და კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის გუნდს გადასცა გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა.

კვლევის პროცესში გამოყენებულ

ლი მეთოდოლოგია ეფუძნებოდა IFC-ისა და EIB-ის სტანდარტებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის უდიდეს დანერგვებს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალედ და ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით შეისწავლოს გარემო და ბუნება და მიიღოს შესაბამისი რჩევები იმისათვის, რათა პროექტის არეალში საუკეთესო შემარბილებელი ღონისძიებები გაატაროს.

კვლევის ზოგადი დასკვნები:

– მდინარეში დაფიქსირდა მხოლოდ ნაკადულის კალმახი – უცხოელმა ექსპერტმა შეიმუშავა რეკომენდაციები იმისთვის, რომ ზემოქმედება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ეს მოიცავს რეგულარულ კვლევებს, მდინარის კალაპოტის გაწმენდას, ადგილობრივ მეთევზეებთან კონსულტაციების გავლას;

– კვლევის პროცესში დადგინდა, რომ ის ეკოლოგიური ხარჯი, რასაც პროექტი მდინარეში დატოვებს საკმარისია ნაკადულის კალმახის და წყლის სხვა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;


– საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია კავკასიური სალამანდრა, რომელთან მიმართებაში ექსპერტმა კომპანიას შესთავაზა სპეციალური ღონისძიებების გატარება, რათამოცემული პოპულაცია გრძელვადიან პერსპექტივაში გაიზარდოს;

უცხოელი ექსპერტის მიერ შემუშავებულ იქნა ბიომრავალფეროვნების მართვის ყოვლისმომცველი გეგმა. ამ გეგმაში დეტალურად არის აღწერილი ყველა შემარბილებელი ღონისძიება.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპს. საერთაშორისო ექსპერტის თქმით, თუკი, კომპანია განახორციელებს ყველა შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებას, ბახვი ჰესს არ ექნება ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. ეთხოვთ კვლევის სრული დოკუმენტი იხილოთ აქ: [baxvi 2 - danarTebi.zip - Google Drive](https://drive.google.com/file/d/1baxvi2-danarTebi/view).

დაფინანსებული ფართი

აკტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში



პანტაზი გურული
საპარტიზო
სრულფლებოვანი
დამოუკიდებელი
სახელმწიფო (1918)

„კავკასიაში სამკლესიო საქმეების მოწყობის I პროექტი (სამხარაოს) შენარჩუნება“

ქართული ეპარქიების მთავარი საჭიროება, რომელიც მითითებულია ქართველი ეპისკოპოსების პეტრიკებში, დამკვიდრებულია წმინდა სინოდის ა. წ. (1906 წლის - ვვ.) 6 აგვისტოს ცნობილი განკარგულებით. ამავე განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, ისა დაგვიჩვენებს, ეპარქიების წარდგინებას დაველოდოთ, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოს ეპარქიების ეპისკოპოსებთან შეთანხმებით მოხდება. გარდაქმნის განხორციელებისათვის საჭირო ნაბიჯები ასეა წარმოდგენილი:

სოხუმის ეპარქია, უწმიდესი სინოდის მიერ ორჯერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოეყოფა საეპარქიოსოს (საქართველოს საეპარქიოსოს - ვვ.) შემდეგ კი უწმიდესი სინოდი გადაწყვეტს, მანამდე თუ არა მას დამოუკიდებლობას, ანდა შეუთავსებს თუ არა მეზობელი სტატუსის, ან სულაც ეკატერინოდარის ეპარქიას, თუკი იქ იქნება დამოუკიდებელი სამღვდელმთავრო კათედრა.

ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოხუმის ეპარქიის სამხრეთით არსებული მგერული სამრევლოები გადაეცემა სამხრეთის ეპარქიას. სამხრეთის ეპარქიას შეეერთდება ასევე ის სვანური სამრევლოებიც, რომლებიც მას მდინარე ენგურით ადვილად უკავშირდებიან.

ქალაქი ბათუმი სოხუმის ეპარქიის გამგებლობაში იქნება. საქართველოს ეპარქიის ის სამრევლოები, რომლებიც განლაგებულია სამხრეთ გზაზე გუდაურის უღელტეხილის (გადასასვლელის) ჩრდილოეთით (ესენი უფრო ოსური სამრევლოებია), გეოგრაფიული მდებარეობიდან გამოიძინარე, უფრო ვლადიკავკასიის ეპარქიას უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ეპარქიას მიეუბნება ოსური სამრევლოები ზეგუბისას უღელტეხილიდან ჯავის ხეობამდე.

გურია მიიღებს ან განსაკუთრებული საეპისკოპოსოს სტატუსს, ანდა მიუერთდება იმერეთის საეპისკოპოსოს, თუკი გამოინახება საშუალება, ის შეიძლება საქართველოს საეპისკოპოსოსად გადაკეთდეს.

თბილისის გუბერნია გადაიქცევა განსაკუთრებულ სამღვდელმთავროდ, რომელსაც სათავეში მთავარეპისკოპოსი (ეროვნებით ქართველი) ეყოლება. მისი კათედრა მცხეთაში იქნება, ხოლო მონაცვლე სამყოფელი კი თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, იმავე სახით, როგორც ეს ადრევე ქართველი კათოლიკოსების დროს იყო.

ეპისკოპოსები მიიხსენებან არა იმ

კუთხის მაცხოვრებელი ხალხის სახელით, სადაც ისინი მოღვაწეობენ, არამედ მათი მოხსენება მოხდება საკათედრო ქალაქის სახელის მიხედვით. ამასთანავე, ენებათ სრული ტიტულატურა, ისეთი შემოკლებული კი არა, როგორც ახლა ეპისკოპოს (ქორეპისკოპოს) მიიხსენებენ.

არაქართველი მოსახლეობისათვის საეპარქიოსოს საზღვრებში ღვინდება რუსული ეპარქია, რომელშიც შევა: ქალაქი თბილისი მთელი თავისი სამრევლოებით, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიები.

ის მიზეზები, რომელთა გამოც საეპარქიოსოს რუსი სასულიერო პირებისათვის აუცილებლად უნდა დაარსდეს მსგავსი ეპარქია, მოცემულია ქვემოთ ჩანაწერებში.

რუსული ეპარქიის სათავეში დგას მიტროპოლიტი, იგი ასევე უწმიდესი სინოდის (რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის - ვვ.) ეპარქიის კათალიკოსი ტაძარი თბილისის სინოდა. მის განკარგულებაშია ამჟამინდელი საეპარქიოსოს სახლიც. სინოდის ტაძრიდან ანჩისხატის ტაძარში უნდა გადაადრინდეს წმინდა ნინოს ჯვარი.

საეპარქიოსო დაფუძნებს სამიტროპოლიტო ოლქს იმავე უფლებებით, როგორც რუსეთში იმავე სახის ოლქებს გააჩნიათ, მხოლოდ მცირე სხვაობით, რომ: ა) მიტროპოლიტი ადვილზე კი არ ირჩევა, არამედ მას უწმიდესი სინოდი ნიშნავს; ბ) ეპისკოპოსები მას თავის წარდგინებებს ასლების სახით გადასცემენ, რომლებიც თავის დროზე უწმიდეს სინოდში გადაეგზავნება. ეპარქიის უფლება აქვს, საჭიროებისამებრ, გააკეთოს თავისი დასკვნები და ასევე გაავაზნოს უწმიდეს სინოდში.

სინოდალური კანტორა (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა - ვვ.) უქმდება.

ეპარქიების მართვა ხორციელდება ზუსტად იმავე საფუძვლებით, როგორც მიღებულია რუსული სამიტროპოლიტოების შემადგენლობაში შემავალი ეპარქიებისათვის.

ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული უფლებების მქონე საეპისკოპოსოები: რუსული - ბაქოში, ბერძნული - ყარსში, აფხაზური - აფხაზეთში, ოსური - ახალგორში. მსვე შეეერთდება 30 ოსური სამრევლო ვლადიკავკასიის ეპარქიდან. სამიტროპოლიტოს მხარეს განსაკუთრებული უფლებებით შეიძლება შეეერთდეს ურბის (სპარსეთის) ეპარქიაც.

ახალი რუსული ეპარქიის დაარსებისათვის სრულდება არ არის საჭირო რაღაც განსაკუთრებული თანხები. მისი ნაწილი, რომელიც ამჟამად გამოყოფილი

სინოდალური კანტორისათვის, შესაძლებელია, ჩარიცხვის ახალი ეპარქიის მმართველობის შესანახად.

იმ თანხებით, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთ სასწავლებლების საბჭოსა და საეკლესიო სკოლების მეთვალყურეების შენახვისათვის, დაკმაყოფილდეს რუსული ეპარქიის საეკლესიო-სასკოლო ადმინისტრაცია.

თბილისში, შესაძლებელია, არსებობდეს ორი სასულიერო სემინარია. ახალ შენობაში განთავსდება არაქართველი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სემინარია (რუსული ეპარქიის) და აქვე განთავსდება დროებით, სპეციალური შენობის გამართვამდე, სასულიერო სასწავლებლებიც რუსული ეპარქიის სასულიერო პირთა შეიღებისათვის. აქ მომსახურე პირთათვის შტატები გადმოვა გორისა და თელავის სასწავლებლებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი დაიხურება. ძველ შენობაში დარჩება ქართველებისათვის განკუთვნილი სემინარია. ქართველებსვე რჩებათ თბილისის სასულიერო სასწავლებელიც. ქართული სემინარიის შენახვისათვის გამოყენებული იქნება საქართველოს ეკლესიის სახანო თანხები.

რაც შეეხება არაქართველი მოსახლეობისათვის განსწავლვის სემინარიას, იგი იმ სახელმწიფო თანხებს გამოიყენებს, რომლებიც ამჟამად ქუთაისისა და თბილისის სემინარიებისათვისა გამოიყენებოდა.

ქართველი სასულიერო პირების შეიღებისათვის განკუთვნილი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების სასწავლო-აღმშრდლობითი საქმის მოწყობის პროექტი შეიძლება დამტკიცდეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ გამართულ თათბირზე, რომელსაც ეპარქიის უხელმძღვანელებს. თათბირის ბოლოს კი კრების გადაწყვეტილება უწმიდეს სინოდს წარედგინება.

რუსულენოვანი სასწავლო დაწესებულება რუსეთში მიღებულ საერთო წესებს იყენებს.

საქართველოს (ქართლისა და კახეთის ვვ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს უშუალოდ უნდა დაევალოთ და მოვალეობად დაეკისროთ ის, რომ არაქართველენი სამრევლოებისათვის დანიშნონ მათივე თანამემამულე მღვდელმსახურები: რუსულში - რუსი, ბერძნულში - ბერძენი და ა. შ.

ქართველი მღვდელმთავრები ვალდებული არიან, ფლობდნენ რუსულ ენას. რუსული ენა უნდა იცოდნენ აგრეთვე საეპარქიო სამმართველოს წევრებმა, საერო მოხელეებმა, მთავარეპისკოპოსისა და საეპარქიო სამმართველოს მომსახურე პერსონალმა, სასულიერო-სასწავლო დაწესებულების გამგებმა და მომსახურე პერსონალმა, საეპარქიო და სამხრო მნიშვნელობის საეკლესიო სკოლების ზედამხედველებმა, მეორე ხარისხისა და ორკლასიანი საეკლესიო სკოლების გამგებმა და ყველა სახის საეკლესიო სკოლების მასწავლებლებმა. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების მასწავლებლების გარდა, ყველანი უნდა ფლობდნენ რუსულ ენას.

„კავკასიაში სამკლესიო საქმეების მოწყობის II პროექტი (სამხარაოს) გაუმჯობესება“

სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ორი სამიტროპოლიტო ოლქი ფუნდდება, რომელთაგან ერთი უშუალოდ ქართულია. მის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს (ქართლისა და კახეთის-ვვ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები. გარდა ამისა, მათ მიეკუთვნება ის მგერული სამრევლოებიც, რომლებიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. ქალაქი ბათუმი გადაეცემა სოხუმის ეპარქიას და თავისთავად გამოეყოფა ქართულ სამიტროპოლიტოს. ჩრდილოეთში მდებარე სამრევლოები

ჯავის ხეობიდან და გუდაურის უღელტეხილიდან მიეუბნება ვლადიკავკასიის ეპარქიას. ქართული ეპარქიის მღვდელმთავარს მიენიჭება მიტროპოლიტის ტიტული. სამიტროპოლიტო კათედრა მცხეთაში განთავსდება, ხოლო მისი მონაცვლე სამყოფელი კი თბილისის ანჩისხატის ტაძარი იქნება.

ამ სამიტროპოლიტო მხარის შიდა მოწყობა უნდა ემთხვეოდეს რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეების (ოლქების - ვვ.) მოწყობას. ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსებს აირჩევენ სამიტროპოლიტო კრებისა და უწმიდესი სინოდის მიერ დღგენილი დროისა და წესის გათვალისწინებით.

სამიტროპოლიტო კრება წვევებს იმერეთის კათედრაზე სამთავარეპისკოპოსო ხარისხში აყვანისა და გურიის საეპისკოპოსოს მასთან შედგომა ურთიერთობის საკითხს, ასევე სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმშრდლობითი საქმისა და სამიტროპოლიტოს შიდა მოწყობის ყველა საკითხს.

სამიტროპოლიტო მხარის ეპისკოპოსებისათვის საგაღებულა შემდეგი მოთხოვნები:

ეპისკოპოსი უნდა გამოირჩოდეს სათანადო და აუცილებელი საღვთისმეტყველო განათლებით. მან ასევე უნდა იცოდეს სახელმწიფო (რუსული) ენა. იგი ვალდებულია, არაქართულ სამრევლოებში მღვდელმსახურებად მრევლის თანამემამულე პირები დაადგინოს, არ დაწესოს ქართული ენა ეკლესიასა და სკოლაში.

რუსული ენის ცოდნა საგაღებულა საეპარქიო მმართველობის წევრებისა და მოხელეებისათვის, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების გამგეებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის, ორკლასიანი და მეორე ხარისხის სკოლებისათვის, ყველა საეკლესიო სკოლის ჰელაგისათვის, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების ჰელაგისათვის გარდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის ძველი შენობა გადაეცემათ ქართველებს ახალი სასულიერო სემინარიის გასახსნელად. ამასთანავე, მისი რჩენა (შენახვა) მოხდება იმ თანხებით, რომლებსაც ამჟამად საქართველოს სასულიერო ხაზინა გასცემს თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. რამე სახის საჩივრისა და, საერთოდ, მნიშვნელოვანი საქმეების გადასჭვრელად სრულიად რუსეთის უწმიდეს სინოდს უფლება აქვს, საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქში, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, რევიზიისათვის გაავაზნოს განსაკუთრებულად უფლებამოსილი ეპარქიის საქმის წარმოებისა და საჩივრის გადასამოწმებლად.

რუსეთის ეკლესიის ღირსებისათვის, ასევე არაქართული მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ინტერესებისათვის, განსაკუთრებით კი რუსი ხალხისათვის ქართული სამიტროპოლიტო მხარის გვერდით ამიერკავკასიაში უნდა დაფუძნდეს რუსული სამიტროპოლიტო ოლქი (მხარე). მოტივები (მიზეზები), რის მიხედვითაც არის მოთხოვნა რუსული ეპარქიის დაარსებისა, მოცემულია აქვე მოყვანილ ამიერკავკასიაში მოღვაწე რუსი საეკლესიო პირების ჩანაწერებში.

რუსული სამიტროპოლიტო მხარის სათავეში მიტროპოლიტი დგას. მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, ხოლო საკათედრო ტაძარი სინოი. ამიტომაც წმ. ნინოს ჯვარი შეიძლება გადაიტანოს ანჩისხატის ტაძარში. სამიტროპოლიტოებს ეკუთვნით შემდეგი ეპარქიები: ქ. თბილისი, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ყარსის ოლქი, ერევნის, ელიზავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიები. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბაქოში აუცილებლად დაარსდება განსაკუთრებული საეპისკოპოსო, ისეთივე, როგორც ყარსშია. რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეში შედის სოხუმის ეპარქია ქ. ბათუმის, ვლადიკავკასიის ეპარქია ქ. ბათუმის, ეპარქია (კასპისპირეთის

ოლქი 1901 წლამდე შედიოდა საქართველოს საეპარქიოსოს შემადგენლობაში), ასევე განსაკუთრებული უფლებების ურბის (სპარსეთის) საეპისკოპოსო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (რუსული) სამიტროპოლიტო მხარის მიტროპოლიტები დასავლეთ ამიერკავკასიის (ქართული) მხარის მიტროპოლიტებთან ერთად ღვთისმსახურების დროს დაიკავებენ საპატიო ადგილს ზედსახელთა შორის.

რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეს გააჩნია სემინარია თბილისში (ახალი შენობა). მას ინახავს იმ სახელმწიფო თანხებით, რომლებიც გამოყოფილია თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. შესაბამისი შენობის მოწყობაზე არაქართველი მღვდელმსახურების შეიღებისათვის იმავე შენობაში გაიხსნება სასულიერო სასწავლებელი, რომლის შტატებსაც თელავის ან გორის სასულიერო სასწავლებლის სამტატო განრიგთან შეესაბამება, იმისა და მიხედვით, თუ რომელ სასწავლებელს გაუქმებენ.

იმ ეპარქიის მმართველობის შენახვისათვის, რომელიც მიეკუთვნება რუსეთის სამიტროპოლიტოს, თანხები გაიცემა სახელმწიფო ხარჯებიდან, რომლებსაც ახლა სინოდალური კანტორა გასცემს. საეკლესიო-სასკოლო ინსპექციის შენახვის თანხებს იმ ხარჯებით დაფარავენ, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთის სასწავლო საბჭოსა და სამხარეო ზედამხედველობისათვის. განსაკუთრებულად კომისია იმ თანხები უნდა გაანაწილოს, რომლებიც ამჟამად საქართველოს საეპარქიოსოს შენახვისათვისა გამოიყენებოდა. თანხები თანაბრად უნდა გადაწილდეს ორივე სამიტროპოლიტოსათვის. კომისიაში შეუძლიათ შევადგინონ დანტერესებული მხარეების წარმომადგენლები. ამ პროექტის აღსრულებისას ყველა მიზეზი ქართველი ეპისკოპოსების უკმაყოფილებისა და ყველა უკმაყოფილება შემოიხსნება სინოდალური დღგენილების მიმართ, რომელიც ძალაში შევიდა ა. წ. (1906 წლის - ვვ.) აგვისტოს თვეში და უშუალოდ ეხება კირიონისა და ლეონიდის აზრებს, თავისთავად მოისპობა.

როგორც ვხედავთ, არც პირველი და არც მეორე პროექტი არ ამკვიდრებდა ქართველ მუუფეთა და მეცნიერთა მოთხოვნებს, ორივე პროექტი არსებული სისტემის მხოლოდ შეღამაზებას ცდილობდა.

ამიერკავკასიის რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა, რუსმა მუუფებმა, მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა და ეპისკოპოსმა სტეპანიმ, მღვდლებმა: იონ კოსტოროვამ, ტიმოფეი ბუტკინმა, ფიოდორ ტიტოვმა და მეცნიერებმა: ალექსანდრ ბრილიანტოვმა, ივან პალეომ და სხვებმა არ გაითვალისწინეს ქართველი მუუფების, ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის, მეცნიერების: ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხანანაშვილის - არგუმენტები, ასევე არ გაითვალისწინეს ცნობილი რუსი მეცნიერების, პროფესორების ნიკოლაი ზაოზერსკისა და ივან სოკოლოვის, მოსაზრებანი და უარი თქვენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე. პრაქტიკულად, თათბირმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, როცა მიიჩნია, რომ ქართველი სამღვდლეობა და მეცნიერები ავტოკეფალიას არა ეკლესიური, არამედ პოლიტიკური მიზნით ითხოვდნენ. ცხადი იყო, რომ რუსმა სამღვდლეობამ და მეცნიერებმა ეკლესიური არგუმენტების არარსებობის პირობებში პოლიტიკური არგუმენტებით იხელმძღვანელეს.

(გაბარძემბა იმეზა)
პანტაზი გურული
(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 529-532 დასაწყისი ის. „ალიონი“ №18-32, 2023 წ. №3-12, 2023 წ.)

ოზურგეთი დიდი თეატრალური ფესტივალისთვის ემზადება



ალიონი. 5 ივნისს, ქ. ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის მეთაურობით თეატრალური ფესტივალის საზეიმოდ გაიხსნება. 10 დღის განმავლობაში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის და ჩონატაურის კულტურის სასახლის სცენებზე 8 უცხოური და 17 ქართული თეატრი წარმოადგენს სპექტაკლებს. ფესტივალის მთავარი სლოგანია „ნოდარ დუმბაძე – ქართული მწერლობა“. ამასთან დაკავშირებით ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ვასილ ჩიგოგიძე** ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე ესაუბრა.

– ეს ფესტივალი საიუბილეოა და იგი ოზურგეთის თეატრის 155 და ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილეებს ეძღვნება. წელს ფესტივალის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა, ფესტივალზე 644 ქართველი და უცხოელი თეატრალური ენობის 14 ქვეყნის დელეგაცია, 55 კაცი. ფესტივალს

წელს დავით დოიაშვილის „შეყრას“ წარმოადგენს. ფესტივალის მათგანებს საშუალება ექნებათ არაერთი ქართული და უცხოური დადგმები და ქართველი და უცხოელი ცნობილი სახეები იხილონ. სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთების ფასებიც ხელმისაწვდომი იქნება.

ფესტივალის დამფუძნებლები გახლავთ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ოზურგეთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერიები.

ფესტივალის გამართვის ხარჯების 70 პროცენტს სახელმწიფო გაიღებს. ფესტივალს ჰყავს სპონსორები. როგორც წინა წელს, ამჟამადც გაიკვამა გრან პრი – 10 000 ლარი, რომელსაც „სმარტ კაპიტალ ჯგუფი“ გაიღებს.

ვასილ ჩიგოგიძემ ოზურგეთის თეატრის გეგმებზეც ისაუბრა. 17 ოქტომბერს მათგან ურუბელს გონა კაბანაძის კიდევ ერთ დადგმას „ექვთიმე“ წარუდგენენ. ეს სპექტაკლი იქნება მესამე ნაწილი ტრილოგიისა („გურიის დღეოფალი“, „რესპუბლიკა გურია“), სპექტაკლის წარმატების შემთხვევაში, რისი იმედიც აქვთ, მას საფრანგეთში ჩაიტანენ და წარმოადგენენ ლევილში.

2023 წლის ბოლოს ოზურგეთის თეატრში დამანისის თეატრის კვირეული გაიმართება.

საიუბილეო გამოფენა და კატალოგის პრეზენტაცია ქ. თბილისში



ალიონი. 8 ივნისს, ქ. თბილისში, დარბაზ „ოპიზარში“ საქართველოს მხატვართა კავშირის თანადგომით გაიხსნა გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის ნამუშევრების საანგარიშო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩონატაურის მხატვრები, – სულ 64 მხატვარი. წარმოდგენილი იყო მათი 130 ნამუშევარი.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ცერცვაძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ დედაქალაქის მხატვრებს არ ჩამორჩება რეგიონები და მათ დახმარება სჭირდებათ, რომ ისინი თავიანთი შესაძლებლობებით წარმოვაჩინონ, თუ როგორ კარგ კულტურას ქმნიან ისინი.

სიტყვებით გამოვიდნენ: გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე მხატვარ-გრაფიკოსი **თამაზ დარჩია**, გურიის კულტურის ფონდის თავმჯდომარე, ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრის დირექტორი, მხატვარ-გრაფიკოსი **ავთანდილ თავართქილაძე**, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი **დავით შემოქმედელი**, საქართველოს თეატრალური

და გაკაცნო.

სახეობის ხელოვნება რეგიონში საკმაოდ პოპულარულია და ბოლო პერიოდში არაერთი ახალგაზრდა მხატვარი გაერთიანდა ჩვენს კავშირში. წელს გურიის მხატვართა კავშირის 10 წელი უსრულდება. გაზაფხულზე, ტრადიციულად მოვაწყვეთ „საგაზაფხულო“ გამოფენა. შემდეგ კი წარმატებით წავრდებით ხელოვნების ცენტრის გალერეა „მუზაში“. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ბოლო ორი თვის მანძილზე ეს მეორე გამოფენა იყო დედაქალაქში ეს ტრადიცია გაგრძელდება. – გვითხრა თამაზ დარჩიამ.

– ეს იყო რეგიონალური გასვლითი გამოფენა, რომელიც ჯერ 13 მაისს გაიმართა საქართველოს კულტურის ფონდის მიწვევით მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო ხელოვნების ცენტრის გალერეა „მუზაში“, ხოლო ამჟამად საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზ „ოპიზარში“ – გვითხრა ავთანდილ თავართქილაძემ.

ბოლოს კი, გურიის რეგიონის მხატვრების ნამუშევრების კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა.



ზღაპრის კვირეული ბრძოლდება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებული ზღაპრის კვირეული გრძელდება.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლამ წარმოადგინა ზღაპარი „მოხერხებული მელაქუ-

და“; ბაილეთის, სოფელ ოზურგეთის, მელექელურის საჯარო სკოლებმა წარმოადგინეს „რწყილი და ჭიანჭველა“; ნავთობის სკოლამ – „მგელი და კრავი“; გურიანთის საჯარო სკოლამ – „დათვის წვეულება“; ნასკირალის სკოლამ წარმოადგინა „ზემი ტყეში“; ბონკურის სკოლამ – „ბუღბუღის ობილი“.

ზღაპრის კვირეული ეტაპობრივად გაიმართება სკოლებში, ფინალი კი კულტურის ცენტრში, სადაც ჟიურის მიერ საუკეთესოდ შეფასებული 5 ზღაპარი მიიღებს მონაწილეობას.

„ბახმარო“ და „გურიამ“ გაიმარჯვეს

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მე-3 ლიგის გუნდებს შორის „ბახმაროს“ და „გურიას“ საშინაო მატჩები ჰქონდა. „ბახმარო“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „გურიას“-4:1, ხოლო „გურიამ“ მოუგო „რუსთავს“-2:0.

11 ტურის შემდეგ „ბახმაროს“ და „გურიას“ 16-16 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-6, მე-7 პოზიციებზე არიან.



ლაზარე ჩხარტიშვილი – კლანების უპლიმრეს მოჭადრაკეთა უორისაა



ალიონი. მსოფლიო საჭადრაკო პირველობაზე (სწრაფი ჭადრაკი-რაპიდი), რომელიც ქ. ბათუმში გაიმართა, წარმატებით იასპარეზა ოზურგეთელმა **ლაზარე ჩხარტიშვილმა**, რომელმაც პლანეტის უძლიერეს 70 თანატოლ მოჭადრაკეთა შორის, 11 შესაძლებლობიდან დაგროვილი

7 ქულით, მეათე ადგილი(!) გაიყო. მან უკან მოიტოვა, მასზე ბევრად მაღალი რეიტინგის მქონე, ოცზე მეტი მოჭადრაკე და საკუთარი რეიტინგიც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. ესოდენ დიდ ფორუმში ლაზარემ პირველად მიიღო მონაწილეობა და ბუნებრივად მოექცა თანამდევნი ემო-

ციების და დაძაბულობის ქვეშ. არასასურველი სტარტის შემდეგ (7 დან 3 ქულა), მან შეძლო თავისი თამაშის მონახვა და ფინალში ზედიზედ 4 პარტია მოიგო, რითაც მსოფლიო ჩემპიონატიც წარმატებული შედეგით დამთავრა.

ლაზარეს წინ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორუმი ელის. ჭადრაკის მოყვარულებმა იცინა, რომ 4-15 სექტემბერს რუმინეთში ტარდება ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობის უფლება, შესაბამისი დაფინანსებით აქვს მოპოვებული ლაზარეს. მანამდე, შესაბამის მზადებასთან ერთად, ლაზარე 1-2 მნიშვნელოვან ტურნირში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

წარმატებები ვუსურვოთ მას!

წვიმა 15+20	წვიმა +14+23	მზა, ღრუბალი +13+26	ღრუბალი +14+22	ღრუბალი +17+22	ელ-ქაქი +17+21	წვიმა +16+21
15 ივნისი ხუთშაბათი	16 ივნისი პარასკევი	17 ივნისი შაბათი	18 ივნისი კვირა	19 ივნისი ორშაბათი	20 ივნისი სამშაბათი	21 ივნისი ოთხშაბათი